



MERIDIAN

2023 წლის სამოქმედო გეგმის ანალიზი



სტრატეგიული გეგმის შესაბამისად შპს მერიდიან მერიტაიმ თრეინინგ
სენტერს 2023 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ჰქონდა 5
სტრატეგიული მიზანი:



- 1 ინსტიტუციური განვითარება
- 2 პერსონალის განვითარება
- 3 სწავლა/სწავლების პროცესის განვითარება
- 4 შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტუდენტების მომზადება
- 5 უწყვეტი განათლება

სტრატეგიული გეგმის საფუძველზე დაწესებულებამ შეიმუშავა 2023 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმით განისაზღვრა 18 შესასრულებელი ამოცანა შესაბამისი აქტივობებით, შესრულების ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები.

სტრატეგიული მიზანი 1

ინსტიტუციური განვითარებისთვის დაწესებულებამ დასახა 9 ამოცანა, კერძოდ:

1. კოლეჯის სტატუსის მოპოვება - შესრულებულია შემდეგი აქტივობებით:



-დროულად იქნა წარდგენილი საავტორიზაციო განაცხადი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;



დროულად განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი;



-დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ავტორიზაციის საბჭოს მიერ.



2. კოლეჯის ეფექტიანი მართვის სისტემის დანერგვა - შესრულებულია შემდეგი აქტივობებით:



--დაინერგა და ამოქმედდა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა E-flow, რომელშიც განხორციელდა შესრულებული სამუშაოების ანალიზის ასახვა თანამშრომლების მიერ. ამავე სისტემაში ხორციელდება კოლეჯის მთლიანი საქმისწარმოება.

3. ინფრასტრუქტურის მოწყობა და სრულყოფა - შესრულებულია შემდეგი აქტივობებით:



- შესაბამისად მოეწყო სასწავლო და თავისუფალი სივრცეები და ასევე შეივსო კოლეჯის წიგნადი ფონდი.



4. საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განხორციელების და დაწესებულების განვითარების ფინანსური მდგრადობა - შესრულებულია შემდეგი აქტივობებით:



-დროის სიმცირის გამო, პრაქტიკულად ურეკლამობის პირობებში ვაკანტური ადგილები შეივსო სრულად.

5. დაწესებულებაში უსაფრთხო გარემოს შექმნა/ განვითარება - შესრულებულია შემდეგი აქტივობებით:



- შესაბამისი ორგანოს (შრომის უსაფრთხოების ინსპექცია) მიერ შემოწმდა და დადასტურდა უსაფრთხო გარემო, ასევე ჩატარდა უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი.





6. უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობის გაღრმავება - შესრულებულია შემდეგი აქტივობებით:




- პარტნიორობის ხელშეკრულება გაფორმდა რიგის საზღვაო კოლეჯთან „ნოვი კონტასი“ და საქართველოს 5 მოქალაქე გაიგზავნა უმაღლესი განათლების მისაღებად აღნიშნულ კოლეჯში მერიდიანის შუამდგომლობით.

7. 2023 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის მომზადება/ანალიზი - შესრულებულია შემდეგი აქტივობებით:



- შესრულდა ამ დოკუმენტით



8. 2024 წლის სამოქმედო გეგმის მომზადება - შესრულებულია შემდეგი აქტივობებით:



- ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილ იქნა ყოველწლიური სამოქმედო გეგმა მოერგოს სასწავლო პროცესის პერიოდს, კერძოდ ნოემბრიდან - ნოემბრამდე ინტერვალს ეფექტურობის ერთიანობაში შეფასებისთვის.

9. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სტანდარტიზაცია - შესრულებულია შემდეგი აქტივობებით:



- გათვალისწინებულ იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა და საბჭოს წევრთა რეკომენდაციები, ასევე დაინერგა ხარისხის შიდა მექანიზმები, რაც გულისხმობს პროფესიული სასწავლებლის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას ვალიდაციის, ვერიფიკაციის, კვლევების და ანალიზების განხორციელების გზით.



სტრატეგიული მიზანი 2

პერსონალის განვითარებისთვის დაწესებულებამ დასახა 3 ამოცანა, კერძოდ:

1. პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურების დანერგვა/განვითარება - შესრულებულია შემდეგი აქტოვობით.



• შემუშავდა და დაინერგა პერსონალის მართვის პროცედურა

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით დაწესებულების კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფა - შესრულებულია შემდეგი აქტოვობით:



• გამოცხადდა ვაკანსიები, განხილულ იქნა განაცხადებები, განხორციელდა გასაუბრებები და შეირჩა შესაბამისი პერსონალი

3. ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებათა კვლევა - შესრულებულია შემდეგი აქტოვობით:



• კოლეჯის სატატუსის მოპოვებიდან გამომდინარე დადგინდა ადმინისტრაციული და პროფესიული მასწავლებლების საჭიროება, გამოცხადდა ვაკანსიები, განხილულ იქნა განაცხადებები, განხორციელდა გასაუბრებები და შეირჩა შესაბამისი პერსონალი.



სტრატეგიული მიზანი 3

სწავლა/სწავლების პროცესის განვითარებისთვის დაწესებულებამ დასახა 3 ამოცანა, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/განვითარების მეთოდოლოგია



გაიწერა და დამტკიცდა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცედურები, რომლებიც დაიხვეწება პროგრამის განხორციელებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე.

2. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/დანერგვა



არსებული ჩარჩო-დოკუმენტის და ავტორიზაციის მიღების საფუძველზე შემუშავდა და დაინერგა საგემბანე განყოფილების ექსპლოატაციის პროგრამა.

3. სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციების დანერგვა



დაიგეგმა კოლეჯის ფუნქციონირების ამსახველი ელექტრონული პორტალის შექმნა თანამედროვეობასთან გაციფროვნების გზით მორგებისთვის. ასევე სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები - ტრენაჟორების და სიმულატორები.



სტრატეგიული მიზანი 4

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტუდენტების მომზადებისთვის დაწესებულებამ დასახა 1 ამოცანა, კერძოდ:

1. სასწავლო პროცესის მონიტორინგი



• სასწავლო პროცესის სამსახურის მიერ შემუშავდა სასწავლო პროცესის მონიტორინგის გეგმა, რომელიც სრულდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან ერთად (მუდმივი პროცესია).



სტრატეგიული მიზანი 5

უწყვეტი განათლებისთვის დაწესებულებამ დასახა 2 ამოცანა, კერძოდ:

1. მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელება/მრავალფეროვნების ზრდა.



• კოლეჯი ახორციელებს ერთ მოკლევადიან პროგრამას - „საზღვაო კულინარიას“ , რომელიც გაიარა 15-მა მზარეულმა კურსის აღიარებიდან სულ რაღაც 4 თვეში, რითაც მიეცათ გემზე დასაქმების შესაძლებლობა.



2. პროგრამებზე მსმენელთა მოზიდვა



• კურსის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა მედია საშუალებით, ასევე განხორციელდა ვიზიტი კოლეჯ „ბლექ სიში“, რომელიც ახორციელებს მრავალფეროვან კურსებს კულინარიის მიმართლებით. სტუდენტებს ჩაუტარდათ გაცნობითი სახის პრეზენტაცია, თუ როგორ შეუძლიათ გახდნენ გემის მზარეულები, მზარეულის პროფესიული განათლების მიღების შემდეგ.





ყოველივე ზემოაღნიშნულიდან
გამომდინარე, ფიქსირდება 2023
წლის სამოქმედო გეგმის 100 %-ით
შესრულება.

